სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

05 / მარტი / 2025 წ.

KA080115384633725

№ **783**

განკარგულება

შპს „სანდასუფთავების“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 20 თებერვალს წარმოდგენილ იქნა შპს „სანდასუფთავების“ (ს/ნ: 245548153) 2025 წლის 20 თებერვლის № 16-1425051716 მომართვა (რეგისტრაციის №1775), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. მიმწოდებელმა 2025 წლის 5 მარტს წარმოადგინა 2025 წლის 5 მარტის დაზუსტებული №16-1425064250 მომართვა (რეგისტრაციის №2103), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2025 წლის 25 თებერვლის № 533 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „სანდასუფთავება“ (ს/ნ: 245548153) 2025 წლის 6 მარტს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ზაზა ნანობაშვილი